საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030149322171618

№ 01-124/მ **22 / მაისი / 2018 წ.**

თამილა ბარკალაიას მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ესპანეთში, ქ. მადრიდში, ევროკავშირის პროექტის - „გენდერული თანასწორობის, ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერა“ - ფარგლებში, დაგეგმილ სასწავლო ვიზიტში (ევროკავშირის მექანიზმების თაობაზე გამოცდილების გაზიარება უწყებათაშორისი კომისიის სტრუქტურისა და საქმიანობის გასაუბჯობესებლად) და შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში, დაგეგმილ შრომის საერთაშორისო კონფერენციის 107–ე სესიაში (საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად, მიწვეულები არიან დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების წარმომადგენლები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შეხვედრაში სამმხრივი დელეგაციის მონაწილეობა) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 27 მაისიდან 2018 წლის პირველი ივნისის ჩათვლით, ესპანეთში, ქ. მადრიდში და 2018 წლის 2 ივნისიდან 2018 წლის 5 ივნისის ჩათვლით, შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში, მივლინებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - **თამილა ბარკალაია.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ესპანეთში, სადღეღამისო, მგზავრობისა (თბილისი-მადრიდი-ჟენევა) და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს ევროკავშირი.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს მგზავრობის (ჟენევა-თბილისი), საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეული (ქ. ჟენევა - 3 ღამე) ხარჯები, სადღეღამისო და სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სოფიკო ბელქანიას 2018 წლის 18 მაისის №01-11235 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ბოხუა